ანბანის ბუშტები

მოსწავლეები ამოიცნობენ ბუშტებზე დაწერილ ასო-ბგერებს.



კლასი: I-II

მუშაობის ფორმა: ჯგუფები, მთელი კლასი.

რესურსი: ბუშტები (ღია ფერის), პერმანენტული მარკერები (მუქი ფერის).

მსვლელობა

- მასწავლებელი გაბერილ ბუშტებზე, სულ მცირე, ორ ადგილას, მსხვილად დააწერს თითო შესწავლილ ასო-ბგერას პერმანენტული მარკერით (მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა ადვილად დაინახონ ჰაერში აგდებულ ბუშტზე გამოსახული ასო, ამიტომაც უმჯობესია ღია ფერის ბუშტებისა და მუქი ფერის მარკერების გამოყენება).
- მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, რომ დადგნენ წრეზე. ააგდებს ბუშტს ჰაერში და დაიძახებს მასზე გამოსახულ ასო-ბგერას. ვინც ბუშტს ხელს შეახებს, თან უნდა დაიძახოს მასზე გამოსახული ასო-ბგერა.ბავშვებმა ბუშტი რაც შეიძლება დიდი ხნით უნდა გააჩერონ ჰაერში ისე, რომ ის იატაკს არ შეეხოს.
- მასწავლებელი მცირე ინტერვალებით, თითო-თითოდ დაამატებს სხვა ბუშტებსაც და შეახსენებს ბავშვებს, რომ ამა თუ იმ ბუშტზე შეხებისას უნდა დაიძახონ სწორედ მასზე გამოსახული ასო-ბგერა.

ვარიაციები

- შესაძლებელია ასო-ბგერები საგანგებოდ შეირჩეს იმგვარად, რომ ბავშვებმა შეძლონ მათი გამოყენებით სიტყვების შედგენა.
- ლექსიკური მარაგის თანდათანობით გამდიდრებასთან ერთად, მასწავლებელს შეუძლია სთხოვოს ბავშვებს, რომ ბუშტზე შეხებისას დაიძახონ შესაბამისი ასო-ბგერით დაწყებული სიტყვა.